ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის

<u>ლევან ჟორჟოლიანის</u>

(2018 წლის პირველი ნოემბრიდან - 2019 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით)

საქმიანობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

დედაქალაქის საკრებულოს წევრი და ამავდროულად, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე წარმოგიდგენთ 2018 წლის პირველი ნოემბრიდან 2019 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს.

მოგახსენებთ, რომ ვარ ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ წევრი, რომლის ფარგლებშიც, **2018 წლის პირველი ნოემბრიდან - 2019 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით** მონაწილეობა **მივიღე 20 სხდომაში** და **განვიხილე 24 საკითხი.**

ამასთან, გახლავართ დედაქალაქის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრი და რამდენადაც, დღესდღეობით დედაქალაქისათვის უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს გარემოს დაცვა და ჯანსაღი გარემოს შენარჩუნება, როგორც კომისიის წევრი, მუდმივად ვინტერესდები ამ სფეროში განხორციელებული საქმიანობითა და არსებული ნოვაციებით. შესაბამისად, აქტიურად ვარ ჩართული მიმდინარე პროექტების განხილვისას. დავესწარი გარემოს დაცვის კომისიის **13 სხდომას** და შევისწავლე **21 საკითხი.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიაში, აღნიშნულ პერიოდში შემოსულია **500-მდე** განცხადება/წერილი და თითოეულ მათგანზე კანონით დადგენილ ვადებში განხორციელდა/ხორციელდება შესაბამისი რეაგირება, ასევე, კომისიის სამდივნოს თანამშრომლებმა ასობით მოქალაქეს გაუწიეს ზეპირი იურიდიული კონსულტაცია.

აღსანიშნავია, რომ **2018 წლის პირველი ნოემბრიდან - 2019 წლის 31 ოქტომბრის** ჩათვლით, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ჩაატარა **19 (ცხრამეტი)** სხდომა. ხსენებული სხდომების ფარგლებში განხილულ იქნა **353 განკარგულებისა** და **89 დადგენილების პროექტი.**

ზემოხსენებულ სხდომებზე დეტალურად შევისწავლეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტები. ნორმატიული აქტების პროექტებზე ჩატარებული სამართლებრივი ექსპერტიზის ფარგლებში, კომისიას გააჩნდა

როგორც ტექნიკური, ისე სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები, რომლებიც ძირითადად ემსახურებოდა პრეამბულისა და თავად პროექტის მუხლების ტექნიკურ, სამართლებრივ, შინაარსობრივ გამართვას, ზემდგომ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაში მოყვანასა და კანონის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფას.

ჩემი, როგორც კომისიის თავმჯდომარის მიერ მითითებული/წარდგენილი შენიშვნები გაიზიარა როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ. ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში, თავად ჩვენ (კომისია) მიერ იქნა შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტები.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან აქტიურად ვიყავი ჩართული **დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის** პროექტის შემუშავების პროცესში. ჩემი კომპეტენციის ფარგლებში, შევისწავლე პროექტის როგორც გრაფიკული, ისე ტექსტური ნაწილი. წარვადგინე არაერთი შენიშვნა პროექტის სამართლებრივ, ასევე, ტექნიკურ ნაწილთან დაკავშირებით, შემდგომში განახლებული პროექტის წარმოდგენის და დამტკიცების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, დედაქალაქისთვის უპრეცედენტო დოკუმენტია, თავისი შინაარსით, მასშტაბით და კონცეპტუალური ხედვით. მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიღებით შეიქმნა თბილისის მთავარი დოკუმენტი, რომელიც მომავალი 10 წლის მანძილზე დედაქალაქის განვითარებას განსაზღვრავს.

გენერალური გეგმა **სამ ძირითად კონცეპტუალურ მიმართულებას მოიცავს,** რომელსაც მწვანე, შეკავშირებული და კომპაქტური ქალაქი ჰქვია. მნიშვნელოვანია, რომ გენერალურ გეგმას თან ახლავს ის დოკუმენტები, რომლებიც აუცილებელია მისი განხორციელებისთვის და ტრანსპორტის, გარემოს დაცვისა და ინფრასტრუქტურულ მიმართულებებს ეხება. გენგეგმის პროექტში ურბანული განაშენიანების და განვითარებისთვის ახლებური მიდგომებია ასახული. ასევე, განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ისტორიულ-კულტურული ნაწილის განვითარებასა და ლანდშაფტურ მნიშვნელობაზე

წარმოდგენილ ანგარიშში ცალკეულად გამოვყოფ იმ მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც განხილულ იქნა და შემდგომ მხარდაჭერილი იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ:

<u>გრანტის მიღებისა და გაფორმებულ გრანტის ხელშეკრულებებში ცვლილების საკითხები:</u>

- განვიხილეთ და მხარი დავუჭირეთ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვას დაქვემდებარებული ხელოვნური ტყეების ბუნებრივ ტყეებად გარდაქმნის მიზნით გრანტის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს, რომლის საფუძველზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას **(GIZ)** შორის გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, GIZ გამოყოფს გრანტს **159,400** (ას ორმოცდაცხრამეტი ათას ოთხასი) ლარის ოდენობით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვას დაქვემდებარებული (დაახლოებით 20 ჰექტრამდე), ხელოვნური ტყეების ბუნებრივ ტყეებად გარდაქმნის განხორციელების მიზნით. აღნიშნული საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გამოაცხადებს ტენდერს, რომლის ფარგლებშიც, განხორციელდება ხელოვნური ტყეების განახლების პროცესი. აღნიშნული პროცესი ითვალისწინებს, შემოღობვით სამუშაოებს, ახალი ნარგავების გაშენებასა და სხვა შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.

- 2019 წლის 23 ივლისის სხდომაზე შევისწავლეთ და თანხმობა მივეცით ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ ,,Rockefeller Philanthropy Advisors, Inc-ფონდს"-ს შორის **,,100 მედეგი ქალაქის ინიციატივის ფარგლებში, გაფორმებულ გრანტის ხელშეკრულებაში"** ცვლილების შეტანის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს, რომლითაც ცვლილება შევიდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტსა და ა(ა)იპ ,,Rockefeller Philanthropy Advisors, Inc-ფონდს" შორის ,,100 მედეგი ქალაქის ინიციატივის" ფარგლებში გაფორმებულ გრანტის ხელშეკრულებაში, რომლის მიხედვით, გრანტის მიმღები, ნაცვლად ორი წლისა სამი წლის განმავლობაში მიიღებს **144 000 ლარამდე** პირდაპირ დაფინანსებას მერის მრჩევლის პოზიციისთვის ხელფასის გადასახდელად. 2017 წლის ივლისიდან 2019 წლის ივნისის ჩათვლით - **124 800 ლარს**, ხოლო 2019 წლის ივლისიდან 2020 წლის ივნისის ჩათვლით - **19 200 ლარს,** ამავე პერიოდში ხელფასის დარჩენილი ნაწილის ანაზღაურება სრულად მოხდება ,,გრანტის მიმღების" მიერ.

- ამასთან განვიხილეთ და თანხმობა მივეცით „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის, ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციის და ინტეგრირებული ავტომატიზირებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშავებლად" გაფორმებული **საგრანტო ხელშეკრულების** (NC37466/1413/9665) დანართ B-ში (საკონსულტაციო კონტრაქტი) განსახორციელებელ ცვლილებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს. ცვლილების მიხედვით, გაიზარდა

საკონსულტაციო მომსახურებისა და შესასრულებელ დავალებათა ჩაბარების ვადები და განისაზღვრა 2019 წლის 29 ნოემბრამდე. შესაბამისად, ახლებურად ნაწილდება შესასრულებელი დავალებების ანგარიშების ჩაბარების თარიღები და აქტივობათა ეტაპები.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემის საკითხები:

აღსანიშნავია ქონების გადაცემის საკითხები, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღებით შევისწავლით, რამდენადაც, ხდება **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** უძრავი ქონების გადაცემა **იმ პირთათვის, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობდნენ და სარგებლობდნენ** შესაბამისი უძრავი ქონებით.

კერძოდ, საანგარიშო პერიოდში იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე შესწავლილ და მხარდაჭერილ იქნა ქონებათა გადაცემის საკითხები, რომელთა ფარგლებში 300-მდე ოჯახს გადაეცა მათ სარგებლობაში არსებული ფართები 95 სხვადასხვა მისამართზე.

ინტერესთა გამოხატვის საკითხი:

2019 წლის 12 თებერვლის სხდომაზე - შევისწავლეთ და თანხმობა მივეცით ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროექტს, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონებას. ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების მიზანს წარმოადგენდა, ამ პირობებით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე - ავარიულ კორპუსებში მცხოვრები ოჯახებისათვის ავარიული ბინების სანაცვლოდ, ახალი საცხოვრებელი ბინების გადაცემა.

კოოპერატივის წევრებისათვის, მათი წარმომადგენლებისთვის ან მათი უფლებამონაცვლეებისათვის ქონების გადაცემა:

აღსანიშნავია, რომ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის განკარგულებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს ეთხოვა, უზრუნველყოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის

წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ეტაპობრივად ხორციელდება/განხორციელდა ზემოხსენებული პირებისათვის უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემა.

ამრიგად, დეტალურად შევისწავლეთ და მხარი დავუჭირეთ:

- განკარგულების პროექტს, რომლის თანახმად, „ქ. თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული ფართები სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად გადაეცა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებს და მათ უფლებამონაცვლეებს;

- ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის მე-3 მ/რ, წყალსადენის ტერიტორიის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 12223 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.14.02.013.183) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხს;

- ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 75.16 კვ. მ. და 71.26 კვ.მ საცხოვრებელი ფართების, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისთვის სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემის საკითხს.

- ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლების IV მიკრორაიონის კორპუს N2-ში მდებარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული ფართებით ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრების/მათი უფლებამონაცვლეების დაკმაყოფილების საკითხს;

- ქ. თბილისში, დიდი დიღომი, IV მიკრო რაიონში, მე-12 კორპუსის მიმდებარედ არსებული 2359 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.10.07.007.084) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისათვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხს;

- ქ.თბილისში, დიდი დიღომი, IV მიკრო რაიონი, 25-ე კორპუსის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 11 774 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.10.07.004.025) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხს;

- ქ. თბილისში, დიდი დიღომი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრის მიმდებარედ არსებულ, 10 177 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.72.14.009.259) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხს.

ბიუჯეტი:

შევისწავლეთ და მხარი დავუჭირეთ:

- 2018 წლის 20 ნოემბრისა და 24 დეკემბრის სხდომებზე - ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს. **(ბიუჯეტის დაზუსტებული პროექტი).** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენიშვნები და ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა განისაზღვრა **927 631,5** ათასი ლარით, რაც ბიუჯეტის თავდაპირველ ვარიანტთან შედარებით, რომელიც შეადგენდა **871 631, 5** ათას ლარს, გაიზარდა **56 000, 00** ათასი ლარით.

- მ/წლის პირველი მარტის, 19 აპრილისა და 23 მაისის სხდომებზე განხორციელებულ ბიუჯეტის ცვლილების პროექტებს. რომელთა ფარგლებში ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა და ჯამში შეადგინა **1 075 101,8 ათასი** (მილიარდ სამოცდათხუთმეტი მილიონ ას ერთი ათას რვაასი) **ლარი.**

- **ასევე, 2019 წლის 19 აპრილის სხდომაზე** გავეცანით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშს.

გარდა ზემოაღნიშნული საკითხებისა, შევისწავლე/შევისწავლეთ და მხარი დავუჭირეთ არაერთ მნიშვნელოვან პროექტს:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის **N10-14** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს. რაც განაპირობა 2018 წლის 4 მაისს, პარლამენტის მიერ მთელ რიგ საკანონმდებლო აქტებში განხორციელებულმა ცვლილებებმა, რომელთა საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური განისაზღვრა საქართველოს დედაქალაქის

ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანაზე ნებართვის გამცემად.

გარდა ამისა, აქტიური მონაწილეობა მივიღე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში განხორციელებული სისტემური ცვლილებების შედეგად შემუშავებულ: **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურისა და შესყიდვების საქალაქო სამსახურის დებულებების, ასევე მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხების შესწავლასა და სამართლებრივ-ტექნიკური კუთხით გამართვაში.**

ასევე დეტალურად შევისწავლე და შესაბამისი შენიშვნებით კომისიის სხდომაზე განვიხილეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს რეორგანიზაციის თანმდევი პროცესების შედეგად შემუშავებული შესაბამისი სამართლებრივი აქტების ცვლილების პროექტები.** კერძოდ, ცვლილებები განხორციელდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის **N13-42** დადგენილებაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის **№19-74,** 2014 წლის 30 დეკემბრის **№20-106** და 2014 წლის 30 დეკემბრის **№20-100** დადგენილებებში.

<u>სატრანსპორტო საკითხებთან დაკავშირებით:</u>

საანგარიშო პერიოდში ,,საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის **№24-80** დადგენილებაში არაერთი ცვლილება განხორციელდა.

ცვლილებების თანახმად, დაკონკრეტდა, ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის გაცემის და გაუქმების პირობები, ასევე გაიწერა სატრანსპორტო საშუალებების ფერის ცვლილების (თეთრი ფერით) და ქიმწმენდის ვაუჩერების გაცემის ორგანიზების საკითხები.

ასევე, აქტიური მონაწილეობა მივიღე სატრანსპორტო საკითხებთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან წარმოდგენილი სხვადასხვა დადგენილების პროექტების შესწავლასა და სამართლებრივ-ტექნიკური კუთხით გამართვაში.

დავამუშავეთ და თანხმობა მივეცით „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2016 წლის 27 დეკემბრის N33-99** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს. წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით, პარკირების საფასური, უკვე არსებულ დროის მონაკვეთთან ერთად, დადგინდა ზონების მიხედვითაც.

აგრეთვე საანგარიშო პერიოდში მხარდაჭერილ იქნა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტი, **„საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო)ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი -კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას სამგზავრო ტარიფებისა და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

პროექტში გათვალისწინებულ იქნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის - **ირაკლი ზარქუასა** და საქართველოს საქველმოქმედო ფონდ **„9 აპრილის“** პრეზიდენტის მოთხოვნა და ქალაქ თბილისში, 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული **მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა და დაღუპულთა ოჯახის წევრები, რომლებიც თბილისში არიან რეგისტრირებულნი, ავტობუსებითა (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) სამგზავრო გადაყვანისას, ნაცვლად, შეღავათიანი ტარიფისა, უფასოდ მგზავრობის შეღავათით ისარგებლებენ.**

ამასთან, ჩემი შუამდგომლობით თბილისში რეგისტრირებულ ქმედობაუნარიანობის შეზღუდვის **მკვეთრად გამოხატული ხარისხის მქონე ნებისმიერ უსინათლო პირსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში მონაწილე უსინათლო პირთა გამცილებლებს, ასევე მიეცათ მუნიციპალური ტრანსპორტით უფასო მგზავრობის უფლება.**

მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის **შეღავათიანი ტარიფით ისარგებლებენ, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული სტუდენტები.** აღნიშნული **შეღავათი ასევე გავრცელდა, თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე, სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებზე.**

*საყურადღებოა, რომ საქართველოს კანონში **„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ განხორციელებული ცვლილებების კვალდაკვალ, თანმდევი ცვლილებები განხორციელდა ამ უკანასკნელთან დაკავშირებულ ნორმატიულ აქტებშიც, კერძოდ:***

შევისწავლეთ და მხარი დავუჭირეთ:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 135-ე–135^4 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ სამსახურად განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2014 წლის 25 ნოემბრის №15-30** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2018 წლის 16 იანვრის N10-14** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135^2 მუხლით, 135^3 მუხლის პირველი ნაწილით და 135^4 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2018 წლის 7 დეკემბრის №32-108** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებათა პროექტებს.

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებების შედეგად, კოდექსის 125 -ე მუხლს დაემატა მე-12-მე-14 ნაწილები. რამაც განაპირობა ცვლილების შესვლა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზემოხსენებულ დადგენილებებში და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური განისაზღვრა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის **ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ სამსახურად.**

<u>მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ:</u>

საყურადღებოა, რომ დედაქალაქში არსებული გამოწვევებისა და მიმდინარე რეფორმების გათვალისწინებით ცვლილებები შევიდა ასევე „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში. ხოლო, მე, როგორც იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე აქტიურად ვიყავი ჩართული ამ უკანასკნელის სამართლებრივი ასპექტების შესწავლასა და დახვეწაში.

შევისწავლეთ და მხარი დავუჭირეთ:

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის **№14-39** დადგენილებაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტს.

აღნიშნული დადგენილების პროექტით განხორციელდა ცვლილებები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის **№14-39** დადგენილებით დამტკიცებულ წესში, რომლის მიხედვით:

- განაშენიანების რეგულირების გეგმა დამუშავებას დაექვემდებარება ასევე დაუგეგმარებელ/მოუწესრიგებელ ან/და ჩამოუყალიბებელ ტერიტორიაზე; გრგ-ი დამუშავდება გეგმარებითი ერთეულის გამოყოფით; ჩნდება გეგმარებითი ერთეულის დეფინიცია; ასევე, გრგ-ს დამუშავებისას პროექტი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ნარჩენების განთავსების მიწისქვეშა და მიწისზედა არეალების შესახებ;

- განაშენიანების რეგულირების გეგმის თემატური ნაწილი გეგმარებითი დავალებიდან გამომდინარე აუცილებლად უნდა მოიცავდეს სარეკრეაციო ტერიტორიების სისტემას (გამწვანების პროექტის ჩათვლით). მშენებლობის ნებართვის მიღებისას დაინტერესებული მხარე განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში შეთანხმებულ გამწვანების პროექტს წარუდგენს მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

- გრგ-ის დამუშავების მაქსიმალური ვადა განისაზღვრა 3 (სამი) თვემდე თითოეული ეტაპისათვის, რომელიც შესაძლოა გაგრძელდეს დამატებით არაუმეტეს 3(სამი) თვის ვადით.

გარდა ამისა, **განვიხილეთ და მხარი დავუჭირეთ არაერთ მნიშვნელოვან პროექტს,** რომლებიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამების შინაარსობრივ და ტექნიკურ გამართვას ისახავდა მიზნად.

ცვლილებები განხორციელდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35-118 დადგენილებით დამტკიცებულ **დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესში, „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესში** და ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებულ არაერთ დადგენილებაში.

ასევე აღსანიშნავია, რომ **ჩემს მიერ შემუშავებულ იქნა და ინიცირების წესით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განკარგულების პროექტი „რიგი ობიექტებისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე“.**

როგორც მოგეხსენებათ 2019 წლის 27 აგვისტოს გაფორმდა შეთანხმება ,,სვეტის“ კომპანიებსა და შპს ,,მ2 ვაკეში“-ის შორის, ასევე მიწის მესაკუთრეებთან, რომლითაც შედგა მოლაპარაკება ,,სვეტის“ კომპანიების მიერ დაზარალებული მოსახლეობის ინტერესების დასაცავად და განისაზღვრა მხარეებს შორის ურთიერთ-მოთხოვნები და ვალდებულებები იმისათვის, რომ ,,სვეტის“ კომპანიების მიერ აღებული ვალდებულებების ფარგლებში დასრულდეს დაუმთავრებელი მშენებლობები და დაკმაყოფილდეს დაზარალებული მოსახლეობის ინტერესები.

აღნიშნულ პროცესს წინ უძღოდა მთელი რიგი მოლაპარაკებები და სამუშაო შეხვედრები სხვადასხვა ფორმატში, რომლებიც წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მხარდაჭერილ პროცესს და მნიშვნელოვანი ძალისხმევის შედეგს.

მოლაპარაკების ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, შპს ,,მ2 ვაკეში“-სა და შპს ,,ბკ ქონსთრაქშენს“ შორის ხელი მოეწერა თანამშრომლობის მემორანდუმს.

მემორანდუმის მიხედვით, მუნიციპალიტეტი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მაქსიმალურად ხელს შეუწყობს შპს ,,მ2 ვაკეში“-ს ,,სვეტი“-ის მიერ დაუმთავრებელი მშენებლობების (ქ.თბილისი, მირცხულავას ქ.N9-11, ნუცუბიძის ქ.N125ა-ში და ჭყონდიდელის ქ.N22-ში) დასრულებისათვის საჭირო დროებითი ღონისძიებების გამოყენებაში.

აღსანიშნავია, რომ არსებული მონაცემებით სამივე პროექტის ფარგლებში საცხოვრებელი ფართით დასაკმაყოფილებელია 1378 დაზარალებული ოჯახი, რომლებმაც ბინები შეიძინეს უშუალოდ სვეტის კომპანიებისგან, დასაკმაყოფილებელია ჯამში 337 დაზარალებული მენაშენე, რომლებმაც შეწყვიტეს ნასყიდობის ხელშეკრულება სვეტთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის **N2-1** დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ჩემს მიერ ინიცირებულ იქნა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლითაც „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის **N59** დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების'' 35-ე მუხლის პირველი, მე-3 პუნქტების, ასევე მე-11 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტისა და მე-12 პუნქტის საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მ/წლის 18 ოქტომბრის სხდომაზე, მაღალი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსი მიანიჭა ზემოხსენებულ ობიექტებს.

რაც შემდგომში საშუალებას მისცემს შპს ,,მ2 ვაკეში"-ს სწრაფად და ეფექტურად გაიაროს **N59** დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 35-ე მუხლით დადგენილი დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის საჭირო ყველა პროცედურა და შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება დაზარალებულთა ინტერესების დაკმაყოფილების კუთხით.

აქვე მსურს დავძინო, რომ 2019 წლიდან ვარ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის **,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის"** წევრი და აქტიურად ვარ ჩართული აღნიშნული კომისიის მუშაობაში.

გარდა ამის, ვარ **საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხთა სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს** წევრი.

ასევე აქტიურად ვიყავი ჩართული დეცენტრალიზაციის ეროვნული სტრატეგიის შემუშავების პროცესში.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ **საანგარიშო პერიოდში ჩემი ინიციატივით ორგანიზება გაეწია არაერთ მნიშვნელოვან სხდომასა თუ შეხვედრას.**

მ/წლის მარტში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის **იურიდიული საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილ იქნა 2018 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში,** კომისიის სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, რომელზეც განხილულ იქნა 2018 წლის განმავლობაში იურიდიული საქალაქო სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობის ფაქტობრივად ყველა აქტუალური სამართლებრივი ასპექტი.

საყურადღებოა ასევე ჩემს მიერ განხორციელებული აქტივობები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრის ცვლილების საკითხებთან დაკავშირებით.

როგორც მოგეხსენებათ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 28 იანვრის **N1-4** გადაწყვეტილებით და 2014 წლის 5 დეკემბრის **N16-35** და **N16-41** დადგენილებებით განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების - რაიონების და რაიონების ტერიტორიული ერთეულების - უბნების საზღვრები. რაიონებისა და უბნების ადმინისტრაციული საზღვრისპირა მონაკვეთების განსაზღვრისას საფუძვლად აღებულ იქნა 2007 წლის სადემარკაციო სამუშაოების შედეგად კორექტირებული კონტური, რამაც ცდომილება გამოიწვია პარლამენტის 2006 წლისა და საკრებულოს 2013-2014 წლების აქტების ტექსტურ და გრაფიკულ ნაწილებს შორის.

აღსანიშნავია, რომ ხსენებული ურთიერთშეუთავსებლობის აღმოფხვრისა და დადგენილებების ჰარმონიზების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია და კომისიის სამდივნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად აქტიურად ვართ ჩართული საზღვრების ცვლილების საკითხში.

კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია და ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისია ვახორციელებთ კოორდინირებულ მუშაობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურსა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან, ასევე მცხეთის, გარდაბნისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების მერიებსა და საკრებულოებთან ერთად, რომლის ფარგლებშიც საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-11 მუხლის შესაბამისად საკითხის სამთავრობო კომისიისათვის წარდგენამდე განხორციელებული იქნა რიგი ღონისძიებები, მათ შორის გავმართეთ კონსულტაციები შესაბამის მუნიციპალიტეტებთან, საჯარო შეხვედრები მოსახლეობასთან, ასევე ადმინისტრაციულ საზღვრის ცვლილების პროექტი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გამოქვეყნდა საჯაროდ.

აქვე აღსანიშნავია, რომ კვლავაც აქტიურად განვაგრძობ კომუნიკაციას შესაბამის უწყებებთან, რათა საკითხს მიეცეს შემდგომი მსვლელობა და დროულად აღმოიფხვრას მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებთან დაკავშირებული უზუსტობა.

ასევე, ჩემი ინიციატივით გაიმართა **სამუშაო შეხვედრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გამგებლებთან და გამგეობის წარმომადგენლებთან,** რომელსაც აგრეთვე ესწრებოდნენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ოთარ გრიგოლია, საკრებულოს წევრი - საბურთალოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ავთანდილ ცინცაძე და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენლები.** შეხვედრის ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების დაკანონების საკითხები განვიხილეთ და ვიმსჯელეთ ე.წ.

,,შეჭრილების“ უძრავი ქონებით უზრუნველყოფისათვის დადგენილი შესაბამისი კრიტერიუმებისა და პროცედურების დახვეწის გზებზე, რათა აღნიშნულ პროცესში მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული როგორც მოსახლეობის, ასევე მუნიციპალიტეტის ინტერესები.

ამასთან, ჩემი თანამდებობრივი სტატუსისა და პროფესიიდან გამომდინარე, ხშირად მიწევს საეთერო დებატებში მონაწილეობა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან ერთად, სადაც აქტიურად მიმოვიხილავ მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ/განსახორციელებელ პროექტებს და ვცდილობ დედაქალაქის და არამარტო, მაცხოვრებლებს თვალნათლივ დავანახო და ავუხსნა თითოეული წამოწყებული პროექტის/შესაბამისი საკითხის სწორი და ობიექტური მნიშვნელობა.

დაბოლოს, **2018 წლის პირველი ნოემბრიდან - 2019 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით** ვიმყოფებოდი არაერთ კონფერენციაზე, ტრენინგსა და პრეზენტაციაზე.

პატივისცემით,

ლევან ჟორჟოლიანი

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე